

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/30 23 მაისი 2012 წ.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-01/74
2. რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62 – (დამატებულია 3.2 მუხლის ქვეპუნქტი)
3. რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57 (ცვლილება 3.2 მუხლში).
4. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება).

მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების,
შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების
წესი

თბილისი

2012 წ.

1. ზოგადი დებულება

მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების საკითხები რეგულირდება “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის განათლების და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტებით და ამ წესების შესაბამისად.

2. სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი

- 2.1. უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდები, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, გააჩნია შესაბამისი სერთიფიკატი, წარმატებით გადალახა უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდები და გაიარა შესაბამისი რეგისტრაცია.
- 2.2. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლა, ამ წესის შესაბამისად დასაშვებია:
 - ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
 - ბ) პირებისათვის (გარდა ერთობლივი პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში.
 - გ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.
 - დ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე და აქვთ საქართველოში გაცემული სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი

- 3.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.
- 3.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - აკადემიური შვებულება;
 - ავადმყოფობა რომელიც გამოირიცხავს სასწავლო პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობას;
 - უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
 - სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა მძიმე, ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე;
 - ფინანსური დავალიანება;
 - ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის არ გავლა;
 - მობილობის საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტის მიერ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის დედნების წარმოუდგენლობა. (რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62); რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57 (ცვლილება 3.2 მუხლში).

3.3. სტუდენტს აკადემიური შვებულება ეძლევა:

- ა) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისას არაუმეტეს სამი წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროგრამის მეტი ხანგრძლივობა;
- ბ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო;
- გ) ორსულობისა და ახალშობილთა მოვლის გამო (არაუმეტეს 4 სემესტრისა);
- დ) სხვა საპატიო მიზეზით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ კონკრეტული განცხადების განხილვის საფუძველზე მიღებული დადგენილების შესაბამისად.

3.4. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

3.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი

4.1. სტუდენტს სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული 120 კრედიტის დაგროვება;
- გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
- დ) ერთი და იმავე სავალდებულო სასწავლო კურსში სამი მცდელობით დადებითი შეფასების მიუღებლობა;
- ე) ძალადობა და მძიმე შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;
- ვ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებებით;
- ზ) სტუდენტის სტატუსის შეჩერება 5 წელზე მეტი ხნის განმავლობაში;
- თ) გარდაცვალება.

4.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

4.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. აღნიშნულის შემდეგ სტუდენტი კარგავს გადახდილ აუთვისებელ თანხას. პირს, რომელსაც შეუწყდა, სტუდენტის სტატუსი, შეუძლია მისი ხელახალი მოპოვება არსებული ზოგადი წესით.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

5.1. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მიმართოს გთუნი-ს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი გარდა 4.1 მუხლის გ) ქვეპუნქტისა.

5.2. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ უნივერსიტეტში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ

შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

5.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე. სტუდენტის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხვის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს თუ რა ეტაპიდან განაგრძობს სწავლას სტუდენტი, მის მიერ ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობით და შეუსაბამობით იმ პროგრამასთან, რომელზეც სურს სწავლის გაგრძელება.

6. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირება

6.1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი).

6.2. ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დგინდება:

- უნივერსიტეტის მიერ, მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების ადგილების ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა, ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად;
- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა;
- მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების ცენტრში წარმოდგენის ვადა;
- ელექტრონული პორტალის წარმოების წესი.

7. მობილობის უფლების მქონე პირი

7.1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი.

7.2. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.

8. მობილობის უფლების შეზღუდვა

8.1. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

8.2. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. თუ დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება, სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა სწავლის პერიოდის ხანგრძლივობის მიუხედავად.

9. დაწესებულების მიერ მობილობისათვის ადგილების რეგისტრაცია

9.1. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში, ამ წესის მე-13 მუხლის 13.4. პუნქტის გათვალისწინებით.

9.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია დაარეგისტრიროს მობილობის ადგილები საფეხურებისა და ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ელექტრონულ პორტალზე.

9.3. ცენტრი ამოწმებს უნივერსიტეტის მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მონაცემების

შესაბამისობას მისთვის აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის, არსებული სტუდენტების რაოდენობისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მონაცემებთან. გადამოწმების პროცესში ცენტრი იყენებს რეესტრში არსებულ ინფორმაციას. უნივერსიტეტის მიერ რეესტრში ინფორმაციის შეუტანლობა, ხარვეზის დადგენის, ხოლო მისი გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მობილობისათვის ადგილების რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია.

10. მობილობის მსურველთა რეგისტრაციის პროცედურა

10.1. მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით.

10.2. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 5 ფაკულტეტის ან საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე ფაკულტეტსა ან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა.

11. უნივერსიტეტში მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვება

11.1. თუ უნივერსიტეტის რომელიმე ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება მიმღები დაწესებულების მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

11.2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში ვაკანტური ადგილი, უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარ-ქულიანი მობილობის მსურველების ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება უნივერსიტეტისათვის მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

11.3. მობილობის მსურველი მოიპოვებს შესაბამისი დაწესებულების ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მის მიერ ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული პრიორიტეტების მიხედვით, ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით დადგენილი წესით.

11.4. იმ პირთა ერთიანი სია, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაწესებულების შესაბამის ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე, ქვეყნდება ელექტრონულ პორტალზე, რის შემდეგაც მობილობის მსურველი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს მიმღებ დაწესებულებას ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან ერთვის საგანმანათლებლო დოკუმენტის, რომლის საფუძველზე პირი ჩაირიცხა დაწესებულებაში, და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. დაუშვებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული ასლების მიღებაში ხელის შეშლა.

11.5. მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით უნივერსიტეტს ჩარიცხვის თაობაზე, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებისა.

12. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი

- 12.1. უნივერსიტეტი ადგენს მის მიერ შეთავაზებულ სამაგისტრო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.
- 12.2. აღიარებას ექვემდებარება დაწესებულების იმ პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზეც ჩარიცხვაც განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 12.3. შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.
- 12.4. თავისუფალი კრედიტების ფარგლებში დასაშვებია იმ სასწავლო კურსის აღიარება, რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით.
- 12.5. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიანგარიშოს სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში იმ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ევროპული საკრედიტო სისტემის შესაბამისად.
- 12.6. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომლის საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებული იქნას სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
- 12.7. უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოცდის ან გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობა. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.
- 12.8. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა ემთხვევა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტებს, მისი აღიარება ხდება ავტომატურად.
- 12.9. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები აღემატება უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობას, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამით.
- 12.10. თუ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები ნაკლებია გთუნი-ს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობაზე, სტუდენტს უღიარდება კრედიტების ის რაოდენობა, რომელიც გათვალისწინებულია იმ სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამით, საიდანაც ხდება მობილობა.
- 12.11. არ აღიარებული კრედიტების აღდგენა სტუდენტს აკისრებს დამატებით ფინანსურ ვალდებულებას.
- 12.12. უნივერსიტეტი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, შეიმუშავებს და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს წარუდგენს სამართლებრივი აქტის პროექტს სტუდენტების კრედიტების შესაბამისობასა და მობილობით ჩარიცხვის თაობაზე.

13. სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული აქტების გამოცემა

- 13.1. უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტს, რომლის საფუძველზეც ცენტრი ამოწმებს უნივერსიტეტის ბრძანების პროექტში ასახული სტუდენტების მონაცემების შესაბამისობას ამ წესის მოთხოვნებთან, რეესტრისა და ელექტრონული პორტალის მონაცემებთან და გასცემს

დასკვნას პროექტში მითითებული სტუდენტების მობილობით ჩარიცხვის შესაძლებლობის შესახებ. ცენტრი უფლებამოსილია გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც არ არის ასახული რეესტრში.

- 13.2. აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ბრძანება სხვა დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, ხოლო სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირის ვადაში გაიცემა ბრძანებიდან ამონაწერი, ასევე საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ამ დაწესებულებაში ჩაირიცხა და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.
- 13.3. ბრძანების პროექტზე ცენტრის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ.
- 13.4. დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს ბრძანება სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის შესახებ 5 ოქტომბრამდე იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიან აქტში მითითებულია მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 7 ოქტომბრის ჩათვლით წარადგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ფორმის შესაბამის ინფორმაციას ჩარიცხული პირების შესახებ ელექტრონული ფორმით.
- 13.5. განსხვავებული სასწავლო კურსების ასათვისებლად მაგისტრანტს განესაზღვრება სწავლების ინდივიდუალური გრაფიკი. აღნიშნული კრედიტების აღიარება მაგისტრანტს აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - შესაბამის კურსზე მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის გადასახადი გაიყოფა 60 კრედიტზე და დგინდება ერთი კრედიტის ღირებულება;
 - ერთი კრედიტის ღირებულება გამრავლდება კრედიტების იმ რაოდენობაზე, რომელიც მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს ასათვისებელ სასწავლო კურსში. შედეგად განისაზღვრება მაგისტრანტის გადასახდელი კონკრეტული თანხის ოდენობა;
- 13.6. მობილობის წესით მაგისტრატურაში ჩარიცხვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი ღირებულების გადახდა. სწავლის საფასური განისაზღვრება გადმოყვანის დროს მოქმედი ტარიფით, ხოლო გადახდის ვადები ხელშეკრულების პირობებით.

14. შიდა მობილობა

- 14.1. შიდა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს გთუნი.
- 14.2. სტუდენტს უფლება აქვს უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან გადავიდეს უნივერსიტეტის მეორე საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საფეხურის ფარგლებში (შიდა მობილობა).
- 14.3. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა:
 - ა) შიდა მობილობით სარგებლობა სტუდენტს შეუძლია უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში;
 - ბ) შიდა მობილობით სარგებლობის უფლება სტუდენტს ენიჭება სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.
- 14.4. შიდა მობილობით სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს წელიწადში 2-ჯერ როგორც წესი სასწავლო სემესტრების დაწყებამდე; შიდა მობილობის წინა პირობას წარმოადგენს

სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამის შესაბამისობის დადგენა ახალ საგანმანათლებლო პროგრამასთან;

14.5. მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს შესაბამისი განცხადებით. უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტი სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით ახდენს სტუდენტის მიერ გავლილი პროგრამის აღიარებას, განსაზღვრავს ახალი პროგრამის რომელი დონიდან გააგრძელებს სწავლას სტუდენტი და სემესტრის დაწყებამდე წარუდგენს რექტორს რეკომენდაციას სტუდენტის შიდა მობილობის წესით გადაყვანის თაობაზე. პროგრამების შესაბამისობის დასადგენად გამოიყენება ამ დებულებით დადგენილი წესები.

14.6. შიდა მობილობით გადასულ სტუდენტს სწავლის საფასური განესაზღვრება შესაბამისი (მიმღები) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასურის მიხედვით. პროგრამული თავსებადობისთვის აუცილებელი დამატებითი კრედიტების ასათვისებლად მას დაეკისრება დამატებითი კრედიტების/დამატებითი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა.

14.7. შიდა მობილობით სტუდენტის გადაყვანა ფორმდება გთუნი-ს რექტორის ბრძანებით.

15. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

15.1. უნივერსიტეტი რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ათვისება მიღწევად რეჟიმში და მხოლოდ შემდეგ მოახდინოს მისი შეცვლა ან გაუქმება შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით;

15.2. თუ უნივერსიტეტში არსებობს გასაუქმებელი ან შესაცვლელი საგანმანათლებლო პროგრამის მონათესავე პროგრამა, უზრუნველყოს სტუდენტი მისი ათვისებით, ან მოიძიოს და ითანამშრომლოს იმ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, რომელიც ახორციელებს იგივე საგანმანათლებლო პროგრამას, აღნიშნულის შესახებ მიაწოდოს სტუდენტს დეტალური ინფორმაცია და დაეხმაროს მობილობის პროცესის განხორციელებაში.

16. დასკვნითი დებულებები

მაგისტრატურის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

შეტანილი ცვლილებები:

1. რექტორის 2012 წლის 3 დეკემბრის ბრძანება №01-01/74
2. რექტორის 2014 წლის 4 სექტემბრის ბრძანება №01-01/62 – (დამატებულია 3.2 მუხლის ქვეპუნქტი)
3. რექტორის 2015 წლის 26 ივნისის ბრძანება №01-01/57 (ცვლილება 3.2 მუხლში).
4. რექტორის 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №01-01/84 (უნივერსიტეტის სახელწოდების ცვლილება).